შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

2013 წლის ანგარიში

დეკემბერი, 2013

განხორციელებული აქტივობები

განხორციელდა 49 მიწის ნაკვეთის (რომლებზეც განთავსებულია ნაგავსაყრელები) კომპანიის საკუთრებად რეგისტრაცია.

დაინიშნენ რეგიონალური კოორდინატორები და პოლიგონების ოპერატორები, რომლებიც აღიჭურვნენ სპეც-ტანსაცმლითა და შესაბამისი ინვენტარით.

ამბროლაურში, რუსთავში, ახალციხეში, გორში, მცხეთაში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისსა და თელავში ჩამოყალიბდა რეგიონალური ოფისები. ოფისები აღიჭურვა შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, საოფისე ინვენტარითა და სატრანსპორტო საშუალებებით.

პოლიგონების კეთილმოწყობა

- კეთილმოწყობისა და გამართულ საექსპლუატაციო რეჟიმში მოყვანის მიზნით, 2013 წელს შეირჩა რვა პრიორიტეტული ნაგავსაყრელი (ქ. თელავი, ქ. გორი, ქ. მცხეთა, ქ. ახალციხე, ქ. ამბროლაური, ქ. ქუთაისი, ქ. ოზურგეთი და ქ. ზუგდიდი).
- აღნიშნული პოლიგონების კეთილმოწყობისა და საექსპლუატაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4 970 644 ლარი (დღგ-ს და სხვა დანარიცხების ჩათვლით).
- ტენდერების შედეგად სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 3 076 194 ლარი.



ზუგდიდი



ქუთაისი



თელავი

პროექტების ფარგლებში მიმდინარე აქტივობები

• არაორგანიზებულად დაყრილი ნარჩენების შემოზვინვა და პოლიგონის ტანის ფორმირება და შიდა გზების მოწყობა-მოწესრიგება;

• ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების გადაადგილება განსაზღვრულ უჯრედში, კომპაქტურად დატკეპვნა და საიზოლაციო მიწის ფენებით დაფარვა;

• საკონტროლო-გამშვები ჯიხურების მოწყობა (განხორციელდა 240 300 ლარის ღირებულების ჯიხურების შესყიდვა);

• სანიაღვრე წყლების არინების სისტემების შექმნა;

• ნაპირსამაგრი სამუშოების ჩატარება (შემუშავდა ქ. ქუთაისის პოლიგონის მიმდებარედ, მდინარე რიონის ჭალა-კალაპოტის ეროზიული ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (ღირებულება 1 974 680 ლარი)და გამოცხადდა ტენდერი შესაბამისი მომსახურების შესყიდვის მიზნით);

• ნაგავსაყრელების შემოღობვა (სეზონურობისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით - პირველ ეტაპზე განხორციელდა 15 ნაგავსაყრელის პერიმეტრის (10 948 გრ/მეტრი) შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა (საერთო ღირებულება - 478 268 ლარი);

• სასწორების დამონტაჟება (განხორციელდა 6 ერთეული საავტომობილო სასწორის შესყიდვა საერთო ღირებულებით - 171 000 ლარი);

• სანკვანძის მოწყობა;

• სახანძრო ფარის მოწყობა;





საექსპლუატაციო აქტივობები

- შესაბამისი მძიმე ტექნიკის გამოყენებით წლის განმავლობაში მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა 49 პოლიგონის მოწესრიგება;
- განისაზღვრა დასაქირავებული საჭირო ტექნიკის მომსახურების მანქანა/საათების სავარაუდო ვადები;
- განხორციელდა მოქმედი ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია;
- ჩატარდა მოქმედი ნაგავსაყრელების შეფასება და რისკების ანალიზი;
- დაინერგა შემოსული ნარჩენების მკაცრი აღრიცხვის აღრიცხვის მეთოდიკა;
- ნაგავსაყრელების გამართულ საექსპლუატაციო რეჟიმში მოყვანის მიზნით, შესყიდული იქნა თექვსმეტი (16) ერთეული მძიმე ტექნიკა (ტრაქტორი) (მათ შორის: 15 ტონიანი - 13 ერთეული; 8-10 ტონიანი - 3 ერთეული).

ბაკურიანის ნაგავსაყრელი

გორის ნაგავსაყრელი

საერთაშორისო თანამშრომლობა (1)

შვედეთის მთავრობა - "საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მყარი ნარჩენების მართვაში"

- ტექნიკური დახმარება შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით (სამოქმედო გეგმა, რისკების ანალიზი, სასწავლო ვიზიტი, ტრეინინგი ნაგავსაყრელების ოპერირების კუთხით);
- გრძელვადიანი თანამშრომლობა (2014-2016 წწ.).

გერმანიის მთავრობა (BMZ/KfW) - „იმერეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი"

- განხორციელდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა; ხელი მოეწერა სესხის ხელშეკრულებას;
- 2014-2016 წწ.-ში განხორციელდება სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა ქ. ქუთაისთან;
- დაგეგმილია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების განხორციელება დამატებით 2 რეგიონში.

ჰოლანდიის მთავრობა - „ქ. ბორჯომში სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობის პროექტი"

- ხორციელდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან პარტნიორობით. ბენეფიციარი იქნება შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია",
- მიმდინარეობს ძველი ნაგავსაყრელის კონსერვაციისა და ახალი ნაგავსაყრელის სამშენებლო სამუშაოები.

EBRD - "ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი"

- დაგეგმილია ქვემო ქართლში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობის მიზნით ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელება;
- კვლევის საფუძველზე მოხდება ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა.

ევროკავშირი (INOGATE) - ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა ენერგეტიკის სფეროში

- წარდგენილია განაცხადი არსებულ ნაგავსაყრელებზე გაზის შეგროვების მეთოდოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის პროექტის ინიცირების მიზნით.

საერთაშორისო თანამშრომლობა (2)

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)

- წარდგენილია საპროექტო განაცხადი ნაგავსაყრელებზე კონტროლისა და მონიტორინგის განსახორციელებლად აუცილებელი სტაციონალური ლაბორატორიის შექმნა/აღჭურვის მიზნით გრანტის მოსაპოვებლად.

ჰოლანდიის მთავრობა - ORIO/ჰოლანდიის სამთავრობო გრანტი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის

- დაწყებულია მუშაობა 2014 წლისათვის საპროექტო განაცხადის წარსადგენად;
- სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით, მიმდინარეობს მოლაპარაკებებს ჰოლანდიურ საკონსულტაციო ორგანიზაციებთან.

ჩეხეთის მთავრობა / ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzDA)

- მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტექნიკური დახმარების გრძელვადიანი საგრანტო პროექტის ინიცირების მიზნით.

აშშ საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (USAID)

- დაგეგმილია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და კახეთის რეგიონში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაძლიერების პროექტის განხორციელება.

შვედეთის განვითარების სააგენტო (Sida) /გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

- დაგეგმილია ნარჩენების მართვის საინვესტიციო გეგმის შემუშავება და ნარჩენების წყაროზე სეპარირების საპილოტე პროექტის განხორციელება ქ. რუსთავში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად მოეწყო დასუფთავების აქცია დაბა წაღვერში სახელწოდებით „დავასუფთავოთ ბორჯომი“
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, „გაეროს“ და მცხეთის მუნიციპალიტეტებთან ერთად დასუფთავდა ქ. მცხეთაში წმინდა დემეტრეს სახელობის მონასტრის მიმდებარე ტერიტორია.
- კომპანიამ მონაწილეობა მიიღო პროექტის „დავასუფთაოთ მსოფლიო-დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების“ ორგანიზებით ჩატარატებულ დასუფთავების აქციაში.

შეიქმნა კომპანიის ვებ-გვერდი www.waste.gov.ge და facebook-ის like გვერდი.